საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №36

2016 წლის 8 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,რ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები."
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 სექტემბრის №69 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი **გიგლა აგულაშვილი**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. წყლის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი

წყლის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება ინჟინერიის ან მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით;

ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება; სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;

გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, „წყლის შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის დებულების ცოდნა;

ე) ინგლისური ენის (კარგად) და რუსული ენის (კარგად) ცოდნა;

ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - კარგად, Excel-კარგად, Power Point - კარგად) ცოდნა.

მუხლი 2. წყლის რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

წყლის რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა) უმაღლესი განათლება ინჟინერიის ან მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით;
ბ) გარემოსდაცვითი კუთხით საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება; სასურველია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ'' საქართველოს კანონის, „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის დებულების ცოდნა;
ე) ინგლისური ენის (კარგად) და რუსული ენის (კარგად) ცოდნა;
ვ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word – კარგად, Excel-კარგად, Power Point – კარგად) ცოდნა.

მუხლი 3. წყლის რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

1. წყლის რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებით;
ბ) გარემოს დაცვის სფეროში საჯარო, საერთაშორისო ან სხვა სექტორებში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,წყლის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ'' საქართველოს კანონის, ლონდონის 1999 წლის ,,წყალი და ჯანმრთელობის პრობლემების ოქმის“, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის დებულების ცოდნა;
ე) ნორმატიულ აქტებზე და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;
ვ) ინფორმაციის მოძიებისა და მოძიებული მასალების დამუშავების გამოცდილება;
ზ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის გამოცდილება;
თ) სასურველია სტრატეგიულ დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
ი) ინგლისური ან/და რუსული ენების ცოდნა (კარგად);
კ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word - კარგად, Excel-კარგად, Outlook- კარგად) ცოდნა.

2. წყლის რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო ან იურიდიული მიმართულებით;
ბ) გარემოს დაცვის სფეროში საჯარო, საერთაშორისო ან სხვა სექტორებში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,წყლის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ'' საქართველოს კანონის, წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის დებულების ცოდნა;
ე) ნორმატიულ აქტებზე და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;
ვ) ინფორმაციის მოძიებისა და მოძიებული მასალების დამუშავების გამოცდილება;
ზ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის

გამოცდილება;
თ) სასურველია საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში გარემოს დაცვის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხებზე მუშაობის გამოცდილება;
ი) ინგლისური ენის (ძალიან კარგად) და რუსული ენის (კარგად) ცოდნა;
კ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word – კარგად, Excel – კარგად, Outlook – კარგად) ცოდნა.
3. წყლის რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებით;
ბ) გარემოს დაცვის სფეროში საჯარო, საერთაშორისო ან სხვა სექტორებში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,წყლის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის დებულების ცოდნა;
ე) ნორმატიულ აქტებზე და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;
ვ) გეოგრაფიულ-საინფორმაციო სისტემასთან (ArcGIS) მუშაობის გამოცდილება;
ზ) სასურველია წყალაღება-წყალჩაშვებასთან და ჩამდინარე წყლების გაწმენდასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან მუშაობის გამოცდილება;
თ) ინგლისური და რუსული ენების ცოდნა (კარგად);
ი) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word – კარგად, Excel – კარგად, Outlook – კარგად) ცოდნა.

მუხლი 4. წყლის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

წყლის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:
ა) უმაღლესი განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებით;
ბ) გარემოს დაცვის სფეროში საჯარო, საერთაშორისო ან სხვა სექტორებში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება;
გ) მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
დ) საქართველოს კონსტიტუციის, ,,გარემოს დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,წყლის შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული სამინისტროს წყლის რესურსების მართვის სამსახურის დებულების ცოდნა;
ე) ნორმატიულ აქტებზე და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;
ვ) სასურველია ტექნიკურ დოკუმენტაციასთან მუშაობის გამოცდილება;
ზ) ინგლისური და რუსული ენების ცოდნა (კარგად);
თ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (MS office Word – კარგად, Excel –კარგად, Outlook – კარგად) ცოდნა.